საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი

# კომუნისტი

ხუთშაბათი, 2 დეკემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 109 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტებისა. № 109

## უცხოეთის კაპიტალი საბჭოთა რუსეთში

გუშინ ჩვენ მივუთითეთ იმ საერთო პირობებზე, რომელსაც აყენებს საბჭოთა მთავრობა იმ უცხოეთის კაპიტალისტების კონკრეტულ წინადადებების საპასუხოთ, რომლებსაც სურთ მიიღონ კონცესიები რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრის დასამუშავებლათ, რომელიც ამჟამათ უსარგებლოთ ძევს.

ეს პირობები ერთი მხრით გამოხატავს გადაუდებელ მოთხოვნილებას ქვეყნისას გამოიყენოს ყველა ბუნებრივი რესურსები, გაამრავლოს სამეურნეო დოვლათის მასსა და განავითაროს საწარმოვო ძალები, რომლებიც დასცა ექვსი წლის ომმა.

მეორე მხრით კი ეს პირობები შეფარდებულია ყოველ იმ კაპიტალის ძირითად თვისებებთან და მოთხოვნილებებთან, რომელიც ეძებს თავისთვის დასაყრდნობ წერტილს იქ და მაშინ, სადაც და როდესაც მას შეუძლია გაიზარდოს, შექმნას ზედმეტი ღირებულება.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სოციალისტურ რუსეთს, ევროპის თუ ამერიკის კაპიტალის გარეშე, უმთავრესათ კი ევროპა-ამერიკის ტეხნიკის გარეშე, მხოლოთ თავის საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, არ შეუძლია მოკლე დროში გამოიყვანოს ქვეყნის ყოველმხრივი სამეურნეო აღორძინების ამოცანა. როგორც ევროპის მრეწველობას არ შეუძლია განვითარდეს რუსეთის ნედლი მასალის გარეშე, ისე რუსეთის მრეწველობას და სასოფლო მეურნეობასაც არ შეუძლია აღორძინდეს და განვითარდეს ევროპა—ამერიკის მსხვილი მანქანური მრეწველობის პროდუქტების გარეშე.

იმპერიალისტების მიერ მოწყობილი რუსეთის ეკონომიური და სამხედრო ბლოკადა გამიანგარიშებული იყო იმ პროლეტარული რესპუბლიკის სწორეთ ასეთ დაქვნობისათვის, რომელიც მოწყვეტილი იყო დანარჩენ ქვეყანას და არ შეეძლო ეწარმოებია მასთან საარსებო საშუალებათა გაცვლა-გამოცვლა.

ბლოკადა აგლეჯილ იქნა: საერთაშორისო კაპიტალმა ვერ შესძლო სოციალისტურ რესპუბლიკის დაჩოქება და ახლა ის სავაჭრო ურთიერთობის წინადადებას აძლევს მას. საბჭოთა მთავრობა მზადაა მიიღოს ეს წინადადება.

კაპიტალისტებს შეპირდენ, რომ მათ მიეცემათ დამზადებულ საქონლის ნაწილი, და რომ მათ ექნებათ უფლება ეს საქონელი გაიტანონ საზღვარგარეთ. და ეს დამზადებულ საქონლის ნაწილი წერმოადგენს იმ ზედმეტ ღირებულებას, ურომლისოთ კაპიტალი თავის ბურჟუაზიულ ფორმაში, ვერ შეუდგება წარმოებას. მაგრამ ასეთი ზედმეტი ღირებულება უკვე აღარ არის მუშათა დამონების საშუალება. ის არ უწყობს ხელს საწარმოვო საშუალებების მეპატრონეზე მწარმოებელ მუშის მონურ დამოკიდებულების განმტკიცება-გაძლიერებას. რუსეთის მუშა, იმსახურებს ის საბჭოთა მთავრობასთან, თუ საზღვარ გარეთელ კაპიტალისტის დაწესებულებაში, ის მაინც შრომობს თავის სოციალისტურ სამშობლოს აღორძინებისათვის. რუსეთის მუშის შრომის ნაყოფის ნაწილი, როგორც უცხოეთის კაპიტალისტის ხვედრი ნაწილი, გატანილ იქნება საზღვარ გარეთ. ეს ბუნებრივი და აუცილებელია, სანამ სხვა დანარჩენ ქვეყნებში ჯერ კიდევ არსებობს კაპიტალიზმი.

რუსეთის მუშისათვის და მის სახელმწიფოსათვის სულ ერთია, მის ქვეყნისთვის საჭირო საქონლის საფასურათ გადაიხდის ის ოქროს ან სავალიუტო საქონელს—თუ იმ წარმოების ნაწილს, რომელი წარმოებაც მიაწყო უცხოეთის კაპიტალისტმა. რუსეთის მუშისთვის სულ ერთია ეს, ოღონდ კი საწარმოვო ძალების განვითარება ჩქარის ნაბიჯით მიდიოდეს წინ და ამით მაგრდებოდეს სოციალისტურ წყობილების საფუძვლები.

უცხოეთის კაპიტალისტები დამორჩილებულ იქნებიან შრომის დაცვის კანონებზე, იმ კანონებზე, რომლებიც უკვე გამოცემულია ან და მომავალში იქნება გამოცემული მუშათა და გლეხთა მთავრობის მიერ.

მაშასადამე, კაპიტალისტების ფრთები ისე საფუძვლიანათ იქნება შეკვეცილი, რომ ეს კაპიტალისტები სამუდამოთ გადაიქცევიან საბჭოთა მთავრობის ხელში უბრალო სპეციალისტებათ საწარმოვო მოქმედებაში. ეს, მით უმეტეს იქნება ასე, რადგან ასეთ წესწყობილების დროს არავითარი შესაძლებლობა არ იქნება მუშათა გაფიცვების და კაპიტალისტთა მხრივ ლოკაუტის. ამავე დროს, აგრეთვე არ იქნება შესაძლებლობა სამეურნეო განვითარების პროცესის შეწყვეტა-შეჩერების, ამ დროს აგრეთვე ადგილი არ ექნება ჭარბ წარმოებას.

ყოველივე ეს ნიშნავს სოციალისტური წყობილების ძლიერების გაუნელებელ ზრდას და პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრებას.

იქნებ საერთოდ სათაკილოა საზიზღარ საზღვარ გარეთელ კაპიტალისტების სამსახურით ვისარგებლოთ, რომლებსაც საფლავს უთხრის პროლეტარიატის დიქტატურა?

უკანასკნელი გამარჯვების იარაღს გვაწოდებენ სასყიდლათ მოგების სენით დაავადებული მტრები და რომელი გონება გაუშვებს ხელს ასეთ შემთხვევას, ვინ არ შეეცდება, რომ რაც შეიძლება ამგვარი მიწოდება მეტი იქნეს? თუ სამხედრო ფრონტზე გენერლების და აფიცრების სამსახური ფასდაუდებელია, მაშ რატომ არ უნდა გამოვიყენოთ სამეურნეო ფრონტზე მრეწველ გენერლების და აფიცრების სამსახური საბჭოთა ძალაუფლების მიერ დასახულ მიზნის სასარგებლოთ?

მაგრამ, ამასთან ერთათ ამ წმინდა ეკონომიურ საშუალებებით საბჭოთა მთავრობის მიერ საზღვარ გარეთელ კაპიტალისტებისთვის კონცესიების მიცემით შეუდარებელი სტრატეგიული ხერხი კეთდება: საბჭოთა რუსეთის მტერთა ბანაკი იშლება, კონცესიების საკითხის გარშემო მწვავდება უთანხმოება მათ შორის. დეე, რაც შეიძლება მეტი კაპიტალი და ტეხნიკა დააბანდონ რუსეთის მრეწველობაში, დეე გააპოხიერონ რუსეთის უზარმაზარ ბუნებრივი სიმდიდრე: მსოფლიო რევოლიუცია მალე მოახდენს ექსპროპრიატორების ექსპროპრიაციას, სადაც არ უნდა იყვენ ისინი.

## თავის მართლებას ლამობენ.

(რკინ. გზის მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოთ).

„ერთობის“ № 272 ში დაბეჭდილია რკ. გზ. კავშირის ცენტრალური გამგეობის პასუხი ჩემს წერილზე „დაუდევრობა თუ ბოროტ-მოქმედება“, რამაც, როგორც დანამდვილებით ვიცი ძილი დაუფთხო და მოსვენება წაართვა ცენტრალურ გამგეობის და სასურსათო კომიტეტის წევრებს. მას შემდეგ დღე და ღამე განუწყვეტელი შეერთებული სხდომები აქვთ და „იმუშავებენ“ თავის გასამართლებელ საბუთებს და აჭახრაკებენ საპასუხო წერილებს. მაგრამ ყოველივე ცდა უნაყოფოა, ვინაიდან მეტათ ძნელია უტყუარი საბუთების გაყალბება და ბრალდებიდან თავის დახწევა,

განვიხილოთ მოკლეთ ცენტრალური გამგეობის „თავის მართლება“.

„მე ვსწერდი: „ხშირია ისეთი შემთხვევები, რომ სასურსათო და ცენტრალური კომიტეტის წევრები ჯერ თვით დაინაწილებენ რომელიმე საქონელს უნორმოთ დაკლებულ ფასებში და შემდეგ ნორმით მეტ ფასებში გზავნიან თფილისის რკინის გზის მაღაზიებში ბ ხაზზე მუშებზე გასაყიდათ, ავით მიაქვთ ნისიათ მუშებზე კი უსათუოთ ნაღდათ უნდა გაიყიდოს“ და უთითებდი სექტემბერში მიღებულ კარაქზე და ყველზე. აქ წამოყენებულია სამი ბრალდება, ცენტრალური გამგეობა კი სწერს: „ბრალდება ორია საქონლის დაკლებულ ფასებში და ნისიათ წაღება“. აქედან აშკარაა, რომ ბრალდება საქონლის უნორმოთ წაღებაზე მან მიჩქმალა, უკეთ რომ ვთქვათ გადაყლაპა. საქონლის ნისიათ წაღებას გამგეობა არ უარყოფს, მხოლოთ მე მისაყვედურებს: „მაგრამ კარგი იქნებოდა ბ. ბარონ, ამდენი შრომის დამხარჯველს ცოტა კიდევ შეეწუხებიათ თავი და ისიც გაგეგოთ, რომ ცენტრალური გამგეობის წევრებმა 19 ნოემბერს სასურსათო კომიტეტისაგან მიიღეს ცნობა და მოთხოვნილება ვალების გადახდის შესახებ“... ვერ გამიგია რისთვის უნდა გამეგო ეს? თითქო მე ვამტკიცებდე, რომ თქვენ ვალები გადახდა არ გინდათ; პირიქით მე მგონია, რომ სასურსათო კომიტეტის გახსენებაც არ იქნებოდა საჭირო. რაც შეეხება თითქო ზოგიერთ შემთხვევაში ჩემი ციფრები გადაჭარბებული იყოს—ეს კი ტყუილია და მაგალითისთვის მხოლოთ ორ შემთხვევაზე მიგითითებთ: ვ. სიხარულიძის ვალი ნაჩვენები აყო 23745 მან. ნამდვილათ ეხლა არის 32895 მან. ნასიძის ნაჩვენები იყო 32270 მან.—არის 40422 მან.

მესამე ბრალდებას საქონლის დაკლებულ ფასებში წაღებას თქვენ უარყოფთ, თუმცა იქვე უმატებთ, რომ „ერთ და იმავე საქონლის სხვა და სხვა ფასებში გაყიდვას, შეიძლება ადგილი ქონდა სასურსათო კომიტეტის მიერ საქონლის გადაფასების გამო და ეს საქონელი გადაფასებამდე შეიძლებოდა ეყიდნა, როგორც გამგეობის წევრებს, აგრეთვე ყველა რკინის გზელს“. ყველა რკინის გზელს რომ არავინ მიართმევდა ეს თვით ამხ. რკინის გზელებმა უკეთ იციან, მარა რაც თავი და თავია—ეს დამატება სავსებით აქარწყლებს თქვენს „გადაჭრით“ მტკიცებას და თუ ეს თქვენთვის ცხადი არაა, ამხანაგი მუშებისათვის აშკარა და ნათელია...

და განა ვინმესთვის, განსაკუთრებით სასურსათო კომიტეტთან ახლო მდგომთათვის, საიდუმლოებას შეადგენს, რომ თქვენი წრიდან გამოსული რწმუნებული ბოკერია მოვა თუ არა რამე კარგი და იაფი პირველ ყოვლისა თქვენს დაკმაყოფილებაზე ზრუნავს? არც თუ ბ. თხილავა გაკლებთ თავის მზრუნველობას... გარდა იმისა რომ თქვენ წილი გიდევთ ბ-6 თხილავას მიერ გატანილ 67800 მ. მანუფაქტურაში, მაგონდება ერთი უბრალო მაგალითიც. არ მახსოვს კი რომელ თვეში ის ართმევს 80 არშინ ხაკის ფერ „სარუბაშკებს“ ხუთ-ხუთ არშინათ დაჭრილს 27 რაიონის გამგეს—ხუთ ხუთ თუმნათ თითო სარუბაშკეო—ეს ცენტრალური გამგეობის წევრებს უნდა დაურიგოთ. ის მე არ ვიცი მართლა დარიგდა ან რამდენი, მხოლოთ ეს ასე რომ იყო, ფაქტია.

გადავიდეთ კარაქზე და ყველზე (ოჰ, ეს კარაქი და ყველი, რა მწარე გამოდგა თქვენთვის).

თქვენ ბრძანებთ: „რაც შეეხება ბ. ბარონის მიერ აღმოჩენილ (?!) კარაქს და ყველს, აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ცოტა შეშლია და ტყვილა უბრალოთ მიუწეპებია ცენტრალური გამგეობის მიერ გაცილებით უფრო ადრე კერძო დავალებით შეძენილი კარაქი და ყველი იმ კარაქზე და ყველზე, რომელსაც სასურსათო კომიტეტი სამას მანეთათ ყიდდა. ამაზე იტყვიან სწორეთ „საიდან სადაო წმინდა საბაო“. კარაქი და ყველი გაიყიდა რკ. გზ. პირველი მაღაზიიდან და გატარდა თქვენს ანგარიშებში ე. ი. დაგეწერათ ვალათ. ერთ პარტიათ მოსული, ერთი და იგივე კარაქი, სასურსათო კომიტეტის მიერ შეძენილი თქვენ წაიღეთ ნახევარ გირვანქობით 150 მ. და 50 მ. გირვანქა, შემდეგ კი ½ და 1 გირვანქობით 300 და 120 მ. გირვანქა თუ კერძო დავალებით თქვენი შეძენილი იყო, რათ გამგეობის მაღაზიაში არ მოატანინეთ, პირველ მაღაზიაში რა უნდოდა? ან ბ თუ მართლა თქვენი ნაყიდი იყო სასურსათო კომიტეტმა რათ დაგაწერათ ვალათ? მე არაფერიც არ შემშლია და არც ტყუილ-უბრალოთ მიმიწეპებია, მხოლოთ ნახტომი შეშლია პასუხის ავტორს ქელეზნოდოროჟნიკის“ რედაქტორს, რომელიც სასოწარკვეთილებით აღსავსე მოუთხრობდა მოსამსახურეებს „კარაქზე და ყველზე“ ვერაფრის თქმა ვერ მომიხერხებია... შემდეგ როგორც ჩანს „შეუთხზავს“ რაღაც, მარა თეთრი ძაფით ნაკერი გამოსვლია.

რაც შეეხება მაკე და მეწველი ძროხების შეძენას, აქ რა-კი სათქმელი არაფერი აქვთ ჩემს პიროვნებას ეხებიან, რასაც მე უპასუხოთ ვტოვებ, და მობოდიშებით მეკითხებიან:

„რატომ ართმევთ ბ. ბარონ უფლებას ცენტრალური გამგეობის წევრებს, რომ სხვა კერძო მოქალაქებთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ სასურსათო კომიტეტის მიერ დანიშნულ შეჯიბრებაში დაეყიდათ ის ოთხფეხი საქონელი“... კაი დაგემართოთ რომ ეს ასე ყოფილიყოს, მარა ჩვენც გადაჭრით ვაცხადებთ, რომ არაფერი მაგვარი იქ არ მომხდარა თქვენი ძროხების შეძენის დროს, შეიძლება რამდენიმე ოთხფეხი მართლაც გაიყიდა სხვა კერძო პირებზე და რკინის-გზელებზე (მხოლოდ არა მუშებზე), მაგრამ თქვენ და სასურსათო კომიტეტის წევრები არავის არ შეჯიბრებიხართ, ისე აირჩიეთ მეწველი და მაკე ძროხები. მე მოგახსენებთ, რომ სასურსათო კომიტეტის ცენტრალურ ბუხჰალტერიას არავითარი ცნობები არა აქვს, რომ შეჯიბრებით გაიყიდა საქონელი. აგე რომ ყოფილიყო, გაზეთში იქნებოდა გამოცხადებული, ინიშნება საჯარო ვაჭრობა, შედგებოდა შეჯიბრების ოქმი, რომელიც უნდა მოსვლოდა მთავარ ბუღჰალტერიას, ან იქნებ ეკონომიის კანცელარიაში მოიძებნება? მარა რაც არ ყოფილა ეხლა აღარ შეიქმნება და მაგვარი დოკუმენტის არსებობაზე ვერც მიგვითითებთ. პირიქით, მე აქვე ვათავსებ იმ ერთად-ერთ დოკუმენტის ასლს, რომელიც ცენტრალურმა ბუღჰალტერიამ მიიღო:

**სია იმ პირთა, ვინც ოთხ-ფეხი საქონლის ლიკვიდაციის დროს ეკონომიაში მიეყიდა და სხვა და სხვა დროს გაყვანილ იქნა იქიდან.**

| №№ | გ ვ ა რ ე ბ ი | საქონლის სახელწოდება | წონა | ფასი | ჯამში სულ მანეთი | შენიშვნა. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რწმუნებული ვაშაკიძე . . | მოზვ. წით. | 15.10 | 220 | 6600 | მივიღე ვაშაკიძე |
| | | მოზვ. რუხ. | 14.30 | 220 | | |
| 2 | რწმუნებული თხილავა . . | მოზვ. შავი | 13.30 | 220 | 8140 | ვ.გ. თ. მაგიერ ვაშაკიძე |
| | | მოზვ. შავი | 11.10 | 220 | | |
| | | საბუღე | 12 | 220 | | |
| 3 | რწმუნებული კალაძე . . . | ძროხა რუხ. | 15 | 220 | 3300 | მივიღე ნ. კალაძე |
| 4 | ავსარქისოვი გ. პ. . . . . | ხბო | 6.10 | | 7645 | ფული შეტანილია კასაში კვიტან. № 360 |
| | | ხბო | 5.10 | | | |
| | | საბუღე წითელი | 10.10 | | | |
| | | ძროხა რუხ. | 12.20 | 220 | | |
| 5 | პროფეს. კავ. თავმჯდომარე—ბერეჟიანი | ძროხა შავი | 18.10 | 220 | 4015 | ნ. ბერეჟიანი |
| 6 | პროფეს. კავ. წევრი ნასიძე | ძროხა წით. | 12 | 220 | 2640 | მიღების კვიტანცია იმყოფება დედანთან |
| 7 | პრ. კავ. წევრი ცენტერაძე | ძროხა თეთრი ხბოიანი | 24 | 220 | 5280 | |
| | | | | | 37620 | |

გამგე: გრ. ავსარქისოვი.

გაყვანილია ბუღ. მუხლი № 8140.

ნამდვილთან სწორია (№).

ამის შემდეგ განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ თქვენ შეჯიბრებით იყიდეთ ძროხები? „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“ ნათქვამია და სამწუხაროა, როცა ამგვარმა გაჭირვებამ ღირსეული რკინის გზის დემოკრატიის ულირსს ცენტრალურ გამგეობას ტყუილიც აკადრებია... თვარა მე სრულებითაც არ მინდა წავართვა გამგეობის წევრებს უფლება არა თუ შეჯიბრებაში მიიღონ მონაწილეობა არამედ, როცა რომელიმე წევრი დემოკრატიის მიერ უფლება და ნდობა მოსილ ცენტრალური გამგეობისა, ამავე გამგეობის და სა-

სურსათო კომიტეტის მიერ გაგზავნილი იქნება საქონლის საყიდლათ, რისთვისაც კანონიერ გასამრჯელოს მიიღებს დღიურების სახით მიიღოს კიდევ საკომისიო თუ განსაკუთრებული ჯილდო ამ ოპერაციისათვის, როგორც ეს იყვნა გამგეობის წევრმა ნიკ. ნასიძემ, რომელმაც 300 ფუთი თამბაქოს ყიდვისათვის მიიღო 20,000 მან. 27 ივლისს ა. წ. (ორდერი № 1744).

**ბარონი.**

P. S. ეს წერილი მზათ გვქონდა, როცა ოთხ სხვა და სხვა გაზეთში გამოვიდა სასურსათო კომიტეტის პასუხი ჩემს წერილზე, რომელზედაც შემდეგ მოვილაპარაკებთ უფრო ვრცლათ.

**ბარონი.**

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

## საბჭოთა რუსეთში

### საქსოვ წარმოების ზრდა.

**მოსკოვი,** 15 ნოემბ. ბამბის შემოტანის გამო საბჭოთა რუსეთში საქსოვი წარმოება გაიზარდა 40—50 პროცენტით, ვიდრე ეს ომამდის იყო. 1920 წ. საქსოვ წარმოების ნაყოფიერება 4 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე ომამდის. საკუთარ მასალებით წარმოება ერთი წლით უზრუნველყოფილია.

### გამდნარი ოქრო.

**მოსკოვი,** 20 ნოემბ. მიღებულია ცნობები, რომ დღლევის სახელმწიფო ფაბრიკის ქარხნის ლაბორატორიაში ინჟინერ თუმანოვის ხელმძღვანელობით გამომუშავებულია საშუალება გამდნარ ოქროს დასამზადებლათ. ომამდის გამდნარი ოქრო საზღვარ გარეთიდან მოდიოდა და მისი დამუშავების საშუალება საიდუმლო იყო. ამ საშუალების გამონახვას დიდი მნიშვნელობა აქვს ფაიფურის წარმოებისათვის საღებავ მასალების დამზადების საქმეში.

### პურის დამზადება

**მოსკოვი,** 21 ნოემბ. ალტაის გუბერნიაში უკვე დამზადებულია 60 პროცენტი პური. სულ უნდა დამზადებულიყო 12 მილიონი ფუთი პური. სემიპალატინსკის გუბერნიაში დამზადებულია 1 მილიონ ნახევრამდის ფუთი პური. ირკუტსკის გუბერნიაში სასწრაფოთ ეწყობა პურის დამზადების საქმე, გუსაკოვის მაზრის გლეხებმა უკვე დაამზადეს მათზე გაწერილი მთელი პურის, თივის და ჩალის რაოდენობა. გუსაკოვის გლეხები აცხადებენ, რომ ისინი კიდევ დაამზადებენ, თუ კი ამის მოთხოვნილება იქნება. მაზრის დაურიგდა პურის სამაგიეროთ ფართლეულობა და მარილი.

### პროლეტარო, არ გაუშვა ხელიდან ვინტოვკა!

**მოსკოვი,** 29 ნოემბერი. „პრავდა“ სწერს, რომ მთელი ძალ-ღონის მოკრეფით ჩვენ გავიმარჯვეთ სამხრეთში, დავამარცხეთ და გავდევნეთ პეტლიურა და ახლა კი ვდევნით ბალახოვიჩის განადგურებულ ბანდებს. წითელ არმიის გამარჯვების ნაყოფია ზავი ფინლიანდიასთან, ესტონიასთან, ლიტვასთან, პოლონეთთან და სომხეთთან. წითელი არმიის მამაცობამ და გმირობამ გაარღვია ბლოკადის რკალი საბჭოთა რესპუბლიკის ირგვლივ და ახლა ყველა იძულებულია დაიწყოს ჩვენთან ვაჭრობა.

რუსეთის მუშათა კლასმა დაუმტკიცა ბურჟუაზიულ ქვეყანას, რომ მას შეუძლია არა მარტო თავდაცვა, არამედ ის შეუტევს ბურჟუაზიასაც და კუდზე ფეხს დააჭერს მას.

მაგრამ ფიქრი სამოქალაქო ომის გათავებაზე სისულელეა; საფრანგეთი თავის მილიარდებით დიდ დახმარებას უწევს თავის თეთრ გენერლების და გენერლების ლაშქარს და ის ახლაც ცდილობს მოაწყოს ახალი ომი ჩვენს წინააღმდეგ. ამისათვის გადავდივართ რა შრომის ფრონტზე, ჩვენ ერთ ხელში უნდა გვეჭიროს ურო, მეორეში კი ვინტოვკა. სანამ დასავლეთში არ გაიმარჯვებს სოციალისტური რევოლიუცია, მანამდის საბჭოთა რუსეთი უნდა იდგეს თავის ქვეშ, რომელიც იქნება ბურჟუაზიის თავზარდამცემი და პროლეტარიატის გამარჯვების თავდები.

### დონეცის მაღაროები

**მოსკოვი,** 29 ნოემ. პიტერის „კრასნაია გაზეტა“ სწერს, რომ დონეცის მაღაროების საკითხი ახლა პირველ რიგშია. ნახშირის შოვნიდანაა დამოკიდებული ჩვენი მრეწველობის აღორძინება, ტრანსპორტის გაუმჯობესება, პურის გამოტანა ყუბანიდან, ჩრდილო კავკასიიდან და ციმბირიდან.

დონეცის მაღაროები, მიუხედავად დიდ ძნელეობის გადატანისა, მაინც არ განიცდის რღვევას. პირიქით მემაღაროების სულის კვეთება ფხიზელია, მათში დიდია რევოლიუციონური მოვალეობა. ისინი დიდ ენერგიას ხარჯავენ შრომის ფრონტზე გასამარჯვებლად. მიუხედავათ მძიმე პირობებისა, მემაღაროების მხრივ არ ყოფილა არც ერთი პროტესტი.

ცენტრის კომისია, რომელიც ეხლა დონეცის ბასეინში მუშაობს, ღებულობს ზომებს მაღაროების ასაღორძინებლად და მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ახლა უკვე შესრულებულია ვებართელა მუშაობა. სულ მალე შრომის რესპუბლიკაში აგუგუნდება ქარხნები და ფაბრიკები.

### რუსეთის სიმდიდრე

**მოსკოვი,** 29 ნოემ. სემიპალატინის გუბერნიაში დიდი ცნებაა ქვა-ნახშირის, მაგრამ რკინის გზის უქონლობა საშვალებას არ იძლევა დავამუშაოთ ეს ადგილები როგორც რიგია. იქვე არის ოქროს მადნები, რომლებიც მოგვცემს 20 ფუთ ოქროს წელიწადში.

### შეშა მუშებისათვის

**მოსკოვი,** 29 ნოემბ. ომსკში აწყობენ ტრანსპორტს 200 ურმისაგან, რომლითაც გადატანილი იქნება მუშებისათვის შეშა.

### რ. ს. ფ. ს. რ. უახლოესი მიზნები.

**მოსკოვი,** 30 ნოემბერი. მოსკოვის კომუნისტური იაჩეიკების ორგანიზატორების კრებაზე ამხ. ლენინმა წარმოსთქვა სიტყვა საზღვარ გარეთელ კაპიტალისტებისთვის რუსეთის სიმდიდრის დამუშავების უფლების მიცემის შესახებ. შემდეგ გამოვიდა ამხ. ტროცკი. ის აღნიშნავს, რომ ფრონტების ლიკვიდაციის შემდეგ წითელი ჯარებს შრომის ამოცანები უდევს წინ. ამავე დროს წითელ არმიას მოუხდება მუდამ ფეხზე დგომა, ვინაიდან ბურჟუაზიისაგან მუდამ მოსალოდნელია თავდასხმა. რესპუბლიკის მეურნეობის გასაუმჯობესებლათ წითელ არმიიდან დახელოვნებული მუშები გადაყვანილი იქნებიან შრომის ფრონტზე. არმია უნდა შემცირდეს რაოდენობით, მაგრამ უნდა გაძლიერდეს თვისებით. უნდა გაიხსნეს წითელ ოფიცერთა კურსები, უნდა გავაძლიეროთ პოლიტიკური მუშაობა,—მაშინ ყოველ წუთს ჩვენ მზათ ვიქნებით ფეხზე დავდგეთ რევოლიუციის დასაცავათ.

### ჩიჩერინის რადიო ბათომის ოკუპაციის საკითხის შესახებ.

**მოსკოვი,** 28 ნოემბერი. გარეშე საქმეთა კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა ინგლისის საგარეო საქმეთა კომისარს შემდეგი რადიო გაუგზავნა:

„ვუპასუხებთ რა თქვენს რადიოზე № 103, რუსეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს ბრიტანეთის მხრივ ბათომის ოკუპაციის შესაძლებლობის წინააღმდეგ, რაზედაც ბრიტანეთის რადიოებში ხშირათ არის ლაპარაკი. როგორც სჩანს, ეს ქალაქი, რომელიც საქართველოს კუთვნილებას წარმოადგენს, საფრთხის მოლოდინშია. ზემოხსენებული დეპეშები ამტკიცებენ, რომ ბათუმს ნამდვილათ ელის საფრთხე მოკავშირეთა ჯარების ოკუპაციის სახით. ბრიტანეთის მთავრობის მტკიცება იმის შესახებ, ვითომ ბათომს და საქართველოს დამოუკიდებლობას საბჭოთა რუსეთის მხრივ საფრთხე მოელოდეს, გამოწვეულია ინგლისის მთავრობის გაურკვევლობით კავკასიის საქმეებში, როგორიც გამოიჩინა ინგლისის პრემიერმა 7 ივლისს რუსეთის საგარეო ვაჭრობის დელეგაციასთან მოლაპარაკების დროს, როდესაც მან განცვიფრება გამოთქვა 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულობის გამო. წინააღმდეგ, ბრიტანეთის მთავრობამ უკვე უწყის, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ყველაზე უწინ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა დე'იურეთ როგორათაც დღემდის ანტანტის არც ერთ სახელმწიფოს არ უცვნია საქართველო, თუმცა ისე—გარეგნულად თითქოს ძალიან დაინტერესებული არიან საქართველოს ბედით. ფაქტიურად საბჭოთა რუსეთი აღმოსავლეთში ისეთ პოლიტიკას აწარმოებს, რომელიც გამომდინარეობს მისი მისწრაფებიდან—მიეცეს ყველა ხალხებს მშვიდობიანი ცხოვრების და დამოუკიდებელი არსებობის საშუალება. რუსეთის მთავრობა არასდროს არ ემუქრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილი იქნა იმავე ხელშეკრულებაში, რომელიც საზღვარ-გარეთელ ჯარებს ბათუმში შესვლას უკრძალავს. რუსეთი მოითხოვს ამ ხელშეკრულების მკაფიოთ ცხოვრებაში გატარებას. მოწინააღმდეგის მიერ ბათომის ოკუპაცია ამ ხელშეკრულების დარღვევას მოასწავებს. ამიტომ ბათუმის დაცვას ჩვენ გვაკარნახებს ხელშეკრულების დაცვაც და საკუთარი ინტერესებიც. რუსეთის მთავრობა ამ ამბების გულხელ-დაკრეფილ მჭვრეტელათ ვერ დარჩება. ყოველ შემთხვევაში რუსეთის მთავრობა შეეცდება საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და არასდროს არ დაარღვევს საქართველოს სუვერენულ უფლებებს არც ბათომის დაკარგვით, არც სხვა რამ სახით.

**ჩიჩერინი.**

### მილიციური წესით შემდგარი არმია და „ვსეობუჩის“ როლი.

**მოსკოვი,** 20 ნოემბ. არმიის მილიციურ წესით მოწყობის შესახებ ა. ა. ბრუსილოვმა საუბარში სთქვა:

„მრავალ მილიონიანი სახალხო არმია შეიძლება იქნეს მხოლოთ მილიციური წესით შემდგარი. ახლახან დათავებულ მსოფლიო ომმა ნათლათ გვაჩვენა, რომ სათადარიგო ჯარს ცოტა მომზადებითაც შეუძლია დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცეს. მცხოვრებთა მილიციურ წესით მომზადების საკითხი მომწიფებულია და საჭიროა ასეთ რეფორმას დაუყოვნებლივ შეუდგეთ. ბრუსილოვის აზრით საჭიროა შერეულ სისტემით არმიის მოწყობა. ეს სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედ არმიის ნაწილები უნდა იყვეს მუდმივი. მას უნდა ყავდეს სარდლების მუდმივი, მტკიცე კადრი. ეს ნაწილები უნდა ივსებოდეს ტერიტორიალურ სისტემით მოწყობილ მილიციონერებით, რომლებიც სამხედრო საქმეებში ყოველმხრივ იქნებიან მომზადებულნი.

ბრუსილოვის აზრით ამ საქმის შესრულებას ახლავე უნდა მოკიდოს ხელი საყოველთაო სამხედრო აღზრდის მთავარმა გამგეობამ. რაც შეეხება იმ მცხოვრებლებს, რომლებიც არ არიან ჯარში გასაწვევ ასაკის, ისინი უნდა ავარჯიშონ ფიზიკურათ. ამ საქმეს აგრეთვე უნდა ჩაუდგეს სათავეში „ვსეობუჩი“.

### პურის დათესვა.

**სარატოვი,** 15 ნოემ. გამორკვეულია თუ რამდენი დათესილი პურია გუბერნიის 11 რაიონში. წასულ წელს დათესილი იყო 307 ათასი დესეტინა მიწა, მიმდინარე წელს 390 ათასი დესეტინა. დათესილია 20 პროცენტით მეტი.

### ახალგაზრდობის ფიზიკურათ განვითარება.

**მოსკოვი,** 20 ნოემბ. განათლების სახალხო კომისარისა და ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ გამოცემულია ბრძანება 15 დეკემბრისათვის სამილიციო და ფიზიკურ კულტურის შკოლის კომისიების დაარსების შესახებ. საშკოლო კომისიების მოვალეობაა საშკოლო ასაკის ახალგაზრდობის ფიზიკურათ მომზადება.

### რადიო ვრანგელის მეზღვაურებისადმი.

**ნიკოლაევკა,** 30 ნოემბერი. ვრანგელის მეზღვაურებს და ოფიცრებს, რომლებმაც გაჰყვნენ ვრანგელს წითელი ჯარების და წითელი ფლოტის გამარჯვების შემდეგ.

„დღეს ჩვენი შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურების სევასტოპოლში აჯანყების 15 წლის თავს ვდღესასწაულობთ. ჩვენ აღვნიშნავთ დღეს 15 წლის წინეთ მომხდარ ამბავს, როდესაც სევასტოპოლის ნავთსადგურში შავიზღვის მეზღვაურებმა, აღმართეს რა გემებზე წითელი დროშები, აჯანყდენ დესპოტ-მეფის რეჟიმის წინააღმდეგ.

ამ შესანიშნავ დღეს, ჩვენ ამაყობით ვიგონებთ ლეიტენანტ პეტრე პეტრესძე შმიტს რევოლიუციისათვის ნაწამებს, რომელიც აჯანყებას ხელმძღვანელობდა და მეთაურობდა.

დეე, ყველა მეზღვაურებმა, რომლებიც გაჰყვენ ვრანგელს, იცოდენ, რომ ჩვენ ველოდებით მათ დაბრუნებას თავისუფალ, მუშურ გლეხური რესპუბლიკაში. ჩვენ ძმურ ხელს ვუწვდით ყველა მათ, ვინც მშრომელთა მტრებმა მოატყვილეს, ვინც შიშით დასტოვა ძვირფასი მშობლიური მხარე იმის მაგიერ, რომ თავისუფლათ იცხოვროს და იშრომოს საბჭოთა რუსეთში.

ვით საკუთარ ძმებს მოგიწოდებენ თქვენ საბჭოთა რუსეთის მშრომელნი.

ძმებო მეზღვაურებო! თქვენ ფასდაუდებელი სამსახური შეგიძლიათ გაუწიოთ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკის ფლოტს, სადაც თქვენ ვერ დაინახავთ მტრებს. ჩვენ აღფრთოვანებით გაგიღებთ ჩვენი შრომის ოჯახის კარებს, დავივიწყებთ თქვენს წარსულს და შეერთებული ძალებით მივაღწევთ სანუკვარ ცხოვრებას.

ძირს მეფეები, შორს გენერლები და ბურჟუები.

გაუმარჯოს მუშების, გლეხების წითელ ძმურ გაერთიანებას არმიელებისა და მეზღვაურებისა.

გაუმარჯოს მთელს მსოფლიოში საბჭოთა ძალა უფლებას.

### ქარხნების მუშაობა

**მოსკოვი,** 20 ნოემ. ქარხნებში მუშაობა გაძლიერებულია. სამხედრო იარაღის დამზადებამ 66 პროცენტით მოიმატა.

### „საბჭოთა რესპუბლიკის“ პირველ თეატრის გახსნა

**მოსკოვი,** 20 ნოემბ. 7 ნოემბერს გაიხსნა „საბჭოთა რესპუბლიკის“ პირველი თეატრი.

### ბელორუსიის კომუნისტურ პარტიის ყრილობა

**მინსკი,** 26 ნოემ. დამთავრდა ბელორუსიის კომუნისტურ პარტიის მესამე სიეზდი.

## რუსეთში.

**ნიკოლაევი,** 30 ნოემბ. პოლტავის გუბერნიაში ლუბლინში მოხდა გრანდიოზული მიტინგი. მიტინგს დაესწრენ მრავალი წითელ არმიელები და პროფესიონალურ კავშირების წევრები. „ვოსკრესნიკზე“ მუშაობის დროს გაწმენდილ იქნა რკინის გზის ხაზი, დაამზადეს შეშა. ქალები აკერებდენ ავათმყოფ წითელ არმიელთა თეთრეულობას.

### წარმოება მატულობს.

**მოსკოვი,** 30 ნოემბ. ქალაქის ქარხნებში შრომის ნაყოფიერებამ ივნისიდან ოქტომბრამდის ორჯერ მოიმატა.

### საგარეო ვაჭრობა.

**პეტროგრადი,** 27 ნოემბ. საზღვარგარეთიდან რუსეთში შემოტანილია იამბურგის გზით 3,400 ვაგონი საზღვარგარეთელ საქონლით, რომლის წონა 2 მილიონ ფუთზე მეტია. ახლა შემოაქვთ ჰოლანდიიდან—კალა, დანიიდან—ტყვია და ქვანახშირი, შვეციიდან და ესტონიიდან—ქაღალდი.

### ბარგების გადატანა.

**მოსკოვი,** 20 ნოემბ. 1919 წელში ვოლგა-ნევა-ჩრ. დვინის სანაოსნო გზებით 196,016 ათსაი სხვა და სხვა ბარგი გადაუტანიათ, 1920 წელში-კი 402,352 ათასი ფუთი.

### შინა-მრეწველობა.

**მოსკოვი,** 20 ნოემბ. 1 დეკემბერს შინა-მრეწველების მთავარი კომიტეტის მიერ მოწვეულია მოსკოვში სრულიად რუსეთის თათბირი.

### შალეულობის ფაბრიკების მუშაობა.

**მოსკოვი,** 20 ნოემბერი. სექტემბერში დამზადდა 542 ათასი არშინი მდარე მაუდი, 301 ათასი არშინი ტხელის, 217 ათასი არშინი კამვოლის და შალის და ბამბეულის ქსოვილი 675 ათასი არშინი. წარმოება სულ უფრო და უფრო იზრდება.

### ნახშირის დამუშავება.

**რასტოვი,** 16 ნოემბერი. ცენტრალურ ნახშირის რაიონში 1 ოქტომბრიდან 15-დე 1,372,216 ფუთი ნახშირი დაამუშავეს.

## საზღვარ-გარეთ

### რუმინიის გაზეთების გამოხმაურება.

**ოდესა,** 28 ნოემბ. რუმინიის პრესამ მიიღო ვრანგელის განადგურების ცნობა დიდის დაგვიანებით და ის მხოლოდ ახლა გამოეხმაურა წითელ არმიის დიდ გამარჯვებას. ერთ-ერთი რუმინიის გაზეთი სწერს: „ჩვენ არ ვიცით საფრანგეთი კიდევ დაიქირავებს თუ არა ისეთ გენერალს, როგორიც იყო ვრანგელი, რომელიც იბრძოდა საფრანგეთის ინტერესებისათვის.

დღეს საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ ყველა ქვეყნები იძულებული არიან შეკრან ზავი რ. ს. ფ. ს. რ.“ მეორე გაზეთი დიდათ სასიხარულოთ თვლის წითელ არმიის გამარჯვებას და ვრანგელის განადგურებას. თვით რუმინიის მთავრობაც იძულებული გახდა განეიარაღებია პეტლიურის ჯარები. გაზეთს ეს ფაქტი მიაჩნია რუმინიის პოზიციის შეცვლათ რ. ს. ფ. ს. რ. მიმართ. გაზეთი ლაპარაკობს, რომ დადგა დრო, როდესაც სახელმწიფოებმა სერიოზული მოლაპარაკება უნდა დაიწყონ რუსეთთანო.

### ამნისტია კირენაიქში.

**რომი,** 29 ნოემბ. დიდ-სენუსის საბჭოს შუამდგომლობით გამოცხადდა კირენაიქში საერთო ამნისტია.

### ენფრუას გარდაცვალება.

**ლიონი,** 30 ნოემბ. საფრანგეთის მეცნიერებისათვის დიდი დანაკლისია დ'რი ენფრუას დაკარგვა, რომელიც გარდაიცვალა მძიმეთ დადუღრის გამო.

### არჩევნები სამხრეთ-სლავიაში.

**ლიონი,** 30 ნოემბ. პარლამენტის არჩევნები მშვიდობიანად მიმდინარეობს. ბელგრადში ხმის დათვლის შემდეგ გამოირკვა: რადიკალებს მიუღიათ 4305 ხმა, კომუნისტებს—4050, დემოკრატებს—3.195, ომის მონაწილეებს 1671, რესპუბლიკანელებს—452, — ხელოსნებს—313. არჩეულნი არიან უკვე: რადიკალი პაშიჩ, კომუნისტი სინკო მირკოვიჩი, დემოკრატი—დავიდოვიჩი.

### ავსტრიის პარლამენტის არჩევნები.

**ლიონი,** 30 ნოემ. პარლამენტის არჩევნები მოხდა 45 ადგილას. არჩეული არიან 22 ქრისტიანი სოციალისტი, 21 სოციალისტი, და 3 პანგერმანისტი. ამ არჩევნებში დამარცხდენ პანგერმანისტები, რომლებსაც აქამდის უმრავლესობა ყავდათ პარლამენტში.

### პარიზში მყოფ საბერძნეთის წარმომადგენელის გადადგომა.

**ლიონი,** 30 ნოემ. საბერძნეთის ელჩი პარიჟში რომანოსი ესტუმრა ორშაბათს გარეშე საქმეთა მინისტრს და შეატყობინა მას, რომ საბერძნეთის მთავრობამ მიიღო მისი გადადგომა. ახალ ელჩათ დანიშნულია მეტაქსი.

### თეთრების ბანაკში.

**მოსკოვი,** 29 ნოემბ. ესსერების გაზ. „ნაროდნოე დელო“ სწერს, რომ ვრანგელის დამარცხება ერთხელ კიდევ ზედმეტათ ლაპარაკობს იმას, რომ არც გენერლებს და არც მათ კალთებზე ამოფარებულებს არ შეუძლიათ რუსეთის ხსნა ბოლშევიკებისაგან. ბოლშევიზმი დამარცხდება მხოლოდ რუსეთის დემოკრატიის ძალით, რისთვისაც საჭიროა ერთიან შეიარაღებულ ფრონტის შექმნა. ეხლა პოლონეთს დიდძალი ჯარი მიყავს გერმანიის საზღვრებისაკენ. გერმანიის მთავრობამ ზომები მიიღო, რათა ყოველივე ეს ეცნობოს პარიზს და ლონდონს.

### ელზას-ლორენის სოციალისტები მოსკოვთან შეერთების მომხრენი არიან

**ლიონი,** 24 ნოემბ. სოციალისტურ პარტიის სტრასბურგის სექციამ დაადგინა შეუერთდეს მოსკოვის ინტერნაცონ.

### ათინაში

**ლიონი,** პლებისციტის შესახებ საბერძნეთის სოციალისტურ პარტიის აზრი ორათ გაიყო. სოციალისტი დეპუტატი სიდერისი წინადადებას იძლევა ხმა მისცენ კონსტანტინეს დაბრუნების წინააღმდეგ. ამავე დროს პარტიული გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღიური.

**სომხეთში გამოცხადდა საბჭოთა ძალა-უფლება. შესდგა დროებითი რევკომი, რომელიც ასრულებს მთავრობის მოვალეობას. რევკომის თავმჯდომარეა ამხ. კასიანი; წევრებათ: ბეკზადიანი, დოვლათიანი, მრავიანი, ავის ნურიკანიანი, ტერ-გაბრილიანი.**

**ტრანსილვანიაში იფეთქა რევოლიუციონურმა აჯანყებამ, რომელიც სასტიკათ ჩაქრობილი იქნა სამხედრო ძალების დახმარებით.**

**პოლონეთში გაფიცულია 100 ფაბრიკა, რომელშიაც მუშაობდა 300,000 მუშა.**

**გერმანიაში უმუშევრობა იზრდება.**

**ბელგიის მთავრობა მზადაა აღადგინოს საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება.**

---

„რიზოს სასოს"-ი ურჩევს მუშებს თავი შეიკავონ კენჭის ყრაში.

**დელეგაცია ანგორაში**

**ლიონი,** 29 ნოემბ. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ იზეტ-ფაშის დელეგაცია მახლობელ დროში გაემგზავრება ანგორაში ქემალთან შესათანხმებლათ. ქემალისტებთან შერიგება შეუძლებელია, დელეგაცია «მხოლოდ მთავრობის ხრიკია, რათა გამოყენებთლ იქნას ის ამბები რაც მოხდება ამ მოკლე დროში.

**„Лебедь щука и рак".**

**ლიონი,** 30 ნოემბ. ლონდონში მოლაპარაკება გრძელდება. ლეიგმა მიიღო თავის სასტუმროში სფორცი, რომელიც ლიონში ჩამოვიდა და ქონდა მასთან საუბარი. „ტან"-ი იმედს გამოსთქვამს, რომ იტალიის და საფრანგეთის თვალსაზრისი საბერძნეთის საკითხში ერთი იქნებაო. იტალიის წრეებში არ არიან წინაალმდეგნი მეფე კონსტანტინის დაბრუნების, მაგრამ მოითხოვენ სევრსკის ხელშეკრულობის გადახედვას, განსაკუთრებით ორ პუნქტისას, რომელიც ეხება ფრაკიის და სმირნის საკითხს. პარიჟიდან ლეიგის დაბრუნებამდის, იტალიის და საფრანგეთის წარმომადგენლებს ექნებათ არა ოფიციალური მოლაპარაკება.

**ესად-ფაშის მკვლელის გახამართლება.**

**ლიონი,** 30 ნოემბ. ორშაბათს დაიწყება რუსტემის გასამართლება, რომელმაც 13 ივნისს პარიჟში მოკლა ალბანეთის გენერალი ესად-ფაშა. პროკურორია—ბლოხ ნაროკი, ბრალდებულის დამცველი—დემონზი. ბრალდებული 25 წლისაა, სტუდენტი, თავისუფლად ლაპარაკობს ფრანგულ ენაზე. სასამართლოს თავმჯდომარემ დრიუმ, სხდომის გახსნისას მოაგონა სასამართლოს წევრებს, რომ ესად-ფაშა იყო საფრანგეთის მეგობარი და მან დიდი დახმარება გაუწია საფრანგეთს სერბიიდან დახევის დროს.

**ახალი ძალები გვემატება.**

**მოსკოვი,** 29 ნოემბერი. ჩრდილოეთ საფრანგეთის საქსოვ ფაბრიკების მუშათა ორგანიზაციებმა მესამე ინტერნაციონალთან შეერთება გადაწყვიტეს.

**უკვალოდ დაიკარგა.**

**მოსკოვი,** 29 ნოემბერი. საზავო ხელშეკრულების თანახმათ ფინლიანდია ვალდებულია 46 გემი გადასცეს რუსეთს. მაგრამ ზოგი ამ გემთაგანი დაკარგული აღმოჩნდა. ფინეთის ორგანო „სოციალდემოკრატი" სწერს, რომ მას თითქმც ხელთ აქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ეს გემები მიყიდულია ისეთ პირებზე, რომლებსაც ძველ პატრონებთან არაფერი საერთო არ ჰქონებია.

**ფინლიანდიის ახალი კაბინეთი.**

**მოსკოვი,** 29 ნოემბერი. პრეზიდენტმა იმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერს-ტანნერს ახალი მთავრობის შედგენა დაავალა.

**მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ**

**მოსკოვი,** 29 ნოემ. ფლორენციაში ფრრატის ჯგუფის ყრილობამ მიიღო კომუნისტურ ინტერნაციონალის 21 პირობა.

## ირლანდიაში

**ლიონი,** 30 ნოემ. ლივერპულის და ...ტლის დოკები აფეთქეს ღამით 28—29 ნოემბერს ირლანდიელ აჯანყებულებმა. აფეთქება მოხდა 18 ადგილას ერთ და იმავე დროს.

**რეპრესიების უარყოფა**

**რიგა,** 12 ნოემ. „დეიტშე ალგემეინე ცეიტუნგს" ატყობინებენ პარიზიდან: ბრიტანიის მთავრობამ აცნობა ყველა წარმომადგენლებს, რომ ის არავითარ რეპრესიულ ზომებს არ მიიღებს გერმანიის წინაალმდეგ, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ გერმანიამ დაარღვია ვერსალის ზავის პირობები. პარიზში აკრიტიკებენ ინგლისის მთავრობის მოქმედებას და ლაპარაკობენ: აქედან გერმანიას შეუძლია დაასკვნას, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის დიდი უთანხმოება არსებობსო.

**შეიდემანი ბალშევიზმის შესახებ**

**რიგა,** 12 ნოემ. რეიხსტაგში შეიდემანმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიაც გააკრიტიკა გერმანიის ნაციონალური პარტია.

საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ შეიდემანმა სთქვა: „ჩემის აზრით აუცილებელია აღვადგინოთ საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობა. მე არ ვიცი, როგორ უყურებს მთავრობა ბალშევიზმს, მიაჩნია ის აღმაშენებლათ და შემოქმედ ძალათ, თუ თვლის მას, როგორც ყველაფრის გამანადგურებელ ძალათ. იმის შიში, რომ ბალშევიზმი წალეკავს ჩვენს ქვეყანას, სრულიად უსაფუძვლოა. ამისათვის ჩვენ შეგვწევს ძალ-ღონე და სხვების დახმარებას არ ვსაჭიროებთ.

**ინგლისელები სპარსეთში თავის პოლიტიკის შესახებ.**

**მოსკოვი,** 15 ნოემბერი. გაზეთ „ტაიმსში" მოთავსებულია ინგლისელ ოფიცრის სტატია, რომელიც ჩამოვიდა სპარსეთიდან, სტატიაში სხვათა შორის ნათქვამია: „ჩვენი გასვლა სპარსეთიდან დიდი უბედურობაა ინგლისელებისათვის. ცოტა ხნის უკან ინგლისის ოფიცერს მეტი გავლენა ქონდა სპარსეთში, ვიდრე გუბერნატორს. სპარსეთში ყოფნა ინგლისს უჯდება 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი და ბოლოს კი გამოვედით იქედან. ეს მით უფრო უარესია, რომ სპარსეთის ხალხი ფიქრობს: ინგლისელები სპარსეთიდან გავიდენ ბოლშევიზმის შიშითო".

**ჩვენ ვუცდით პასუხს.**

**ტრაპიზონი,** 23 ნოემბერი. ასეთ სათაურით ტრაპიზონის გაზეთი „ეპოქი", სწერს:

„ჩვენ გვაქვს სრული უფლება ვიკითხოთ: მიღებულია თუ არა ზომები ჩვენი მართველ წრეების მიერ იმის გამოსარკვევად, თუ რა მდგომარეობაში არიან ჩვენი თანამემამულენი რუსეთში? ფიქრობენ თუ არა ჩვენი მეთაურები დაიკავონ რუსეთთან ოფიციალური დამოკიდებულება? ჩვენ ნაციონალური ინტერესები გვაკავშირებს საბჭოთა მთავრობასთან და უნდა ვიცოდეთ, რომ თუ საბჭოთა მთავრობა დაემხო, მაშინ ჩვენ რუსეთის ახალ ბატონ-პატრონთან მოგვიხდება შეტაკება.

იმ გამარჯვებების შემდეგ, რომელიც ბოლშევიკებმა მოიპოვეს შიგნით თუ გარეთ, არა მარტო მოუტოვებელი, არამედ ბოროტებაც იქნება, რომ ახალი რუსეთის ძლიერებას ანგარიში არ გავუწიოთ. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ასეთი ვებერთელა ძალა გამოვიყენოთ ჩვენი სამშობლოს განსათავისუფლებლად.

**სმირნის უმაღლეს კომისრის დანიშვნა**

**სტამბოლი,** 22 ნოემ. გაზეთ „პატრისის" ცნობით, მთავრობამ გადასწყვიტა სმირნის უმაღლეს კომისრად სტერგნადის მაგიერ დანიშნოს პრინცი ნიკოლოზი, ფრაკიაში კი პრინცი ანდრეი.

**ბელგია იწყებს ვაჭრობას. რ. ს. ფ. ს. რ.**

**მოსკოვი,** 1 დეკ. ბელგიის მთავრობა, საფრანგეთის მთავრობასავით, მზათაა განაახლოს საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა.

**მოლაპარაკება ფილიანდიასთან.**

**მოსკოვი,** 1 დეკ. ფინლიანდიის პარლამენტში განახლდა განხილვა რუსეთ—ფინლიანდიის ხელშეკრულობისა.

**გადმოხვეწილების შესახებ:**

**მოსკოვი,** 1 დეკ. ლატვიის მთავრობამ გამოგვიგზავნა ჩვენ პროტესტი იმის გამო, რომ ჩვენ მიერ გამგზავრებულ გადახვეწილების რიცხვში ბევრი იყვენ არა ლატვიის ჩამომავლობისა. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა უპასუხა ამის შესახებ, რომ ჩვენ არავითარი ყურადღება არ მიგვიქცევია იმისათვის, არიან თუ არა ეს გადახვეწილები ლატვიელები, არამედ იმას ვაქცევდით ყურადღებას, არიან თუ არა ისინი ლატვიის ქვეშევრდომები.

**ვრანგელის ჯარის-კაცების ბედი.**

**ოდესა,** 27 ნოემ. სტამბოლში ყოველ დღე მოყავთ ვრანგელის დაჭრილი ჯარის-კაცები. საავადმყოფოებში ადგილი არ არის და დაჭრილებს იატაკებზე აწვენენ.

**პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ყრილობაზე**

**ნაუენი,** 30 ნოემ. ლონდონში პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ყრილობაზე საფრანგეთის დელეგატმა ჟუომ განაცხადა, რომ ანტანტას არავითარი უფლება არ აქვს რურის ოლქის ოკუპაციისა, თუ ასეთ ოკუპაციას ადგილი ექნება, მაშინ გერმანიის მუშებმა გაფიცვით უნდა უპასუხონ ამასო. ამ შემთხვევაში საერთაშორისო პროფ. კავშირები დაეხმარებიან გერმანიის მუშებსო. გერმანიის დელეგატმა ლეგინმა განაცხადა, რომ რურის ოლქში გერმანელ მუშებს ძალიან ცუდათ კვებავენ, რაიც გამოწვეულა ვერსალის ზავითო. ბრიტანიის დელეგატმა ტომასმა გააკრიტიკა საფრანგეთის იმპერიალიზმი და განაცხადა, რომ მთელი ქვეყნის მუშები უნდა დაეხმარონ გერმანელ ამხანაგებსო.

**ანტანტა ჰელგოლანდაზე.**

**ნაუენი,** 30 ნოემ. გერმანიის მთავრობამ ნოტით მიმართა ჰოლანდიას და დანიას, რომელშიაც უთითებს, რომ ჰელგოლანდის ნავთსადგური დაკეტილია ანტანტის საკონტროლო კომისიის მიერ, ვინაიდან ამ კუნძულზე კიდევ არის სიმაგრეებიო. გერმანიის მთავრობა მოითხოვს ნება დართონ მას ნაპირებზე თევზის ჭერისა.

## სასტიკათ.

**ადესა,** 25 ნოემ. ტრანსილვანიაში იფეთქა რევოლიუციონურმა აჯანყებამ, რომელიც სასტიკათ იქნა ჩაქრობილი სამხედრო ძალებით.

**პუანკარეს აზრი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ.**

**ლიონი,** პუანკარემ გაზეთ „მორნინგ პოსტში" მოათავსა სტატია, რომელშიაც ის დაწვრილებით შეეხო საფრანგეთ-ბრიტანიის ურთიერთობას. პუანკარე ამბობს, რომ საფრანგეთ-ინგლისის უთანხმოებას ყოველთვის ღრმა მიზეზები ჰქონდა. მიუხედავათ ამისა, არასოდეს არ ემუქრებოდა ეს საფრანგეთ-ინგლისს ურთიერთობის შეწყვეტით. პუანკარე უარჰყოფს ბრიტანიის ზოგ გაზეთების მტკიცებას საფრანგეთის იმპერიალისტურ ზრახვების შესახებ და განაგრძობს: „საფრანგეთი მოითხოვს ვერსალის ზავის პირობების უკლებლივ შესრულებას". საფრანგეთ-ბელგიის შორის დადებული ხელშეკრულება—ეს თავის გასაფრთხილებელი ზომაა და პუანკარე მოხარული იქნებოდა თუ რომ ინგლისი შევიდოდა ამ თავდაცვით კავშირში. პუანკარე მიუთითებს იმ მოვლენაზე, რომ საფრანგეთ-ინგლის-ამერიკის ხელშეკრულება გარანტიების შესახებ ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებულიო. ნახშირების ნაკლებულობის მხრივ პუანკარე - საფრანგეთს ადარებს გერმანიის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ რომ გერმანიამ უკვე განაცხადა თავისი სურვილი გამოსაგზავნ ნახშირის რაოდენობის შემცირების შესახებ. ყოფილი პრეზიდენტი აცხადებს: „ჩვენ არასოდეს არ დაუშვებთ ასეთ დამცირებას, რომელიც გარანტიების აუსრულებლობას ნიშნავს და იმავე დროს არ სრულდება ის ვალდებულებები, რაც მიიღო თავის თავზე გერმანიამ სან-რემოსა და სპას კონფერენციებზე.

**გერმანიის პროტესტი კორფანტის მოქმედების წინაალმდეგ.**

**ნაუენი,** 30 ნოემბ. პლებისციტის მომხდენი გერმანელი კომისარი უბრანეკი ნოტით მიმართავს მოკავშირეთა უმაღლეს კომისარს, რითაც მოითხოვს პოლონელ კომისარის კორფანტის განდევნას. კორფანტი აგენტების საშუალებით მცხოვრებთა ერთ ნაწილს ამხედრებს მეორე ნაწილის წინაალმდეგ.

**სიმშილობა გერმანიაში.**

**ნაუენი,** 80 ნოემბ. გაზ. „ტაიმსი" სწერს: ქრისტეს შობის დღესასწაულის მოახლოვების გამო ბერლინის პოლიციამ განაახლა ბრძოლა კანდიტერებისა, რესტორანებისა და სასტუმროების მეპატრონეთა წინაალმდეგ, რომელთაც აბრალებენ სპეკულიაციას. ამის გამო სასამართლოში არიან მიცემული 150 კაცი კანდიტერის მეპატრონენი. გუშინ დაკეტეს ორი პირველ ხარისხოვანი სასტუმრო „ექსცელზიორი" და „ესპლანადე", სადაც ნახეს მრავლათ სურსათი.

**საუბარი ქეაზიმ ბეისთან.**

საქართველოში არსებულ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლობის პრესბიუროს თამამშრომელი ესაუბრა ქეაზიმ ბეის სომხეთის ფრონტის მდგომარეობის შესახებ. ქეაზიმ ბეიმ სთქვა: „სომხეთისადმი ჩვენ მიერ 8 ნოემბერს წარდგენილი საზავო პირობები პირველათ არ იქნა მიღებული. ამავე დროს 12 ნოემბერს სეპუხის სარდლობით სომხეთის ჯარი თავს დაესხა ჩვენს რაზმებს. აგრეთვე მათ დირეკლერის რაიონში იწყეს მცხოვრებთა რბევა და საშინელი მოქმედება. ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვიყავით გაგვეახლებია საომარი მოქმედება. შემდეგ შექმნილ მდგომარეობის გამო, ისე იქნა განახლებული მოლაპარაკება ზავის შესაკვრელათ. ახლა სომხებმა მიიღეს სრულიათ ძველი პირობები, ამის გამო დროებითი ზავი დაიწყო 25 ნოემბერს დილის 6 საათსა და 45 წუთზე, რაც გაგრძელებულ იქნება 5 დეკემბრამდის. დადებულ პირობების გამო სომხეთის და ოსმალეთის ჯარები გაჩერდენ დანიშნულ პოზიციებზე. სომხები ამ პირობების გამოვალდებულნი არიან გადასცენ ოსმალეთს სწრაფ მსრიალელი ზარბაზნები, ტყვიის მფრქვეველები, არტილერიის და სხვა სამხედრო ნივთები, ოთხფეხი საქონელი, ლოკომოტივები და ვაგონები. ამის ასრულებას სომხები შეუდგენ ალექსანდროპოლში 22 ნოემბერს. ოსმალეთის პოლიტიკური წრეები კმაყოფილებით შეხვდენ ამ ზავს, რადგან მათი სურვილია, რომ სომხეთმა იარსებოს დამოუკიდებლათ.

მოსკოვსა და ანგორას შორის არსებულ ურთიერთობის შესახებ ქეაზიმ ბეიმ სთქვა: მოსკოვი და ანგორა მჭიდროთ არიან ერთიმეორეზე შეკავშირებულნი თავისი მოთხოვნილებების და ინტერესების გამო. არც მოსკოვს და არც ანგორაში არ არის ისეთი კაცი, რომელსაც სჯეროდეს ევროპის პრესის მიერ გავრცელებული ყალბი ხმები მოსკოვსა და ანგორას შორის მომხდარ უთანხმოების შესახებ.

**კომუნისტები სკუპშჩინაში.**

**ლიონი,** 30 ნოემბ. სკუპშჩინაში ჯერჯერობით არჩეულია 12 კომუნისტი.

**ანტანტის რეპრესიები გერმანიის პრესაზე.**

**ნაუენი,** 30 ნოემბ. გაზ. „მიტტაგი" იტყობინება, რომ მოკავშირეთა მიერ დაკავებულ რეინის ოლქში მოკავშირეებმა დაკეტეს 14 გაზეთი და მრავალი ადგილობრივი ფურცლები. გაზეთი მოითხოვს, რომ გერმანიის მთავრობამ ამის შესახებ პროტესტი განაცხადოს.

**საბჭოთა ძალა-უფლება სომხეთში.**

**დელიჯანი,** 30 ნოემბ. დაშნაკელთა მთავრობის გამყიდველ პოლიტიკით და მთელ რესპუბლიკაში გამეფებულ ანარქიით აღშფოთებული დელიჯანის და ყარავანსარაის რაიონის გლეხებმა აჯანყების დროშა აღმართეს. ამ სტიქიური მოძრაობის ხელმძღვანელობა ხელთ აიღო კომუნისტურმა პარტიამ: გამოაცხადა სომხეთი სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკათ და შექმნა სომხეთის რევკომი. ქალ. დელიჯანი ჩვენს ხელშია, აღფრთოვანებული მეამბოხენი გაალმასებული იბრძვიან სამუდამოთ შეჰმუსრონ ეს საზიზღარი ანტანტის ყავარჯენთაგანი. ვასრულებთ რა მეამბოხეთა ნება-სურვილს, შეუდრეკელათ მივიწევით წინ და ვიმედოვნებთ, რომ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ჩვენი ძველი მესვეურის დიდი სოციალისტური რუსეთის წითელი არმია ამ ძნელ ბრძოლაში რეალურ დახმარებას გაგვიწევს. სომხეთის მუშების და გლეხების სახელით სახალხო კომისართა საბჭოს ჩვენ ვთხოვთ ამ დახმარებას.

გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას!

სომხეთის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე **კასიანი.**

რევკომის წევრები: ავის ნურიჯანიანი, ბეკზადიანი, დოვლათიანი, მრავიანი, ტერ-გაბრილიანი.

**მოსკოვი,** 1 დეკემბერი. ლოძში დამდგარია გაფიცვების გამო 100 ფაბრიკა რომლებში 300 ათასი მუშა მუშაობდა.

**თბილისიდან პალესტინში გასვლის ნებართვა.**

**სტამბოლი,** 30 ნოემ. (რადიო სიონისტურ ორგანზაციის თავმჯდომარეს თბილისში დ-რ შტრეიხერს). ებრაელების პალესტინაში გასაგზავნათ ბრიტანეთის ელჩმა თბილისში მიიღო ბრძანება რათა მან მისცეს პასპორტები ყველა იმ პირთ, რომლებზე მიუთითებს სიონისტური ორგანზაცია. გვაცნობეთ იმ პირების ვინაობა, რომლებიც აირჩია თქვენმა ორგანიზაციამ სახელმძღვანელოდ. პალესტინაში ეკონომიურ სივიწროვის გამო შეიძლება გაგზავნოთ ცოტა რიცხვი. ვუცდი პასუხს... (დამახინჯებულია) № 27029.

**უმაღლესი კომისარი.**

# სატარიფო პალატა და მშრომელები.

(დასასრული. იხ. „ახ. კომ." № 108).

ივნისში და ივლისში მდგომარეობა უფრო გამწვავდა და სატარიფო პალატამ გადაწყვიტა ერთდროული დახმარების მიცემა, თვიური ჯამაგირის რაოდენობის სახით, არა უმეტეს 3000 მანეთისა, რაც შეადგენდა საშუალოთ 87 პროც. მომატებას, მაშინ როცა ცხოვრება ამ თვეებში იანვართან შედარებით გაძვირებული იყო 120 პროცენტამდე.

პირველ აგვისტოდან ერთდროული დახმარების ნაცვლათ გადიდებული იყო სამუშაო ხელფასი საშუალოთ 83 პროც., ცხოვრება კი ივლისთან შედარებით გაძვირებული იყო 50 პროც.-დე. (ფულათ —აგვისტოში ცხოვრება ღირდა 10000 მან.—საშუალო ქირა უდრიდა 6000 მ.) ამ რიგათ ამ თვეში სამუშაო ხელფას სატარიფო პალატა ძირს წევს და ცხოვრებაში სიძვირე კი მაღლა მიდის.

აგვისტოდან დაწყებული პირველ საჭირო საგნებზე და სურსათ-სანოვაგეზე ფასები სასწრაფოთ იზრდება და ოქტომბერში ცხოვრების გაძვირება უდრის 290 პროცენტს აგვისტოსთან შედარებით. მუშები, უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილნი და ცივი ზამთრის მოლოდინით, იძულებული იყვნენ წამოეყენებიათ მოთხოვნილებანი, რომელნიც სატარიფო პალატის მუშათა ფრაქციის წევრების ჯიბეებში ლპებოდა.

ბევრ წარმოებებში მიმართეს უკანასკნელ ღონისძიებას—გაფიცვებს. ერთის მხრივ უსაზღვრო ქეიფობა, კლუბებში, რესტორანებში, კაფეებში და მეორე მხრივ ლუკმა პურის ძებნა.

მუშები რომ დაემშვიდებინათ, დაპირდენ პურის რაციონის გადიდებას, სპეკულიანტების საქეიფო ადგილების, რესტორნების და კაფეების დაკეტვას, მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ იქნა შესრულებული.

— სამშობლო განსაცდელშია! საზღვრები უნდა ლავიცვათ, რა დროს კუჭზე ფიქრიაო—ამ სიტყვებით მოინდომეს ხელმეორეთ ჩაეჩუმებიათ მშიერი მუშები, მაგრამ მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ ვერც სიტყვები და ვერც ძალდატანება ვერ შველიდენ საქმის მიფუჩეჩებას. მიმართეს უკანასკნელ საშუალებას—პრემიალურ სისტემას, რაც იმათი ფიქრით ასწევს შრომის ნაყოფიერებას და შექმნის სიმდიდრეს (ვისთვის?) ამ წერილში მე არ შევეხები დაწვრილებით ამ საკითხს, მხოლოდ გაკვრით უჩვენებ, რომ პრემიის მაქსიმუმი შეადგენს 200 პროც. ცხოვრება კი გაძვირებულია აგვისტოსთან შედარებით 320 პროცენტამდე. მაშასადამე, თუ ჩვენ დაუშვებთ (რაც მოუხერხებელია), რომ მუშების სიმშილიდან დასუსტებული ორგანიზმი შესძლებს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და პრემიის მაქსიმუმის მიღებას, მაშინაც კი ის ვერ შესძლებს საზღაპროთ გაძვირებულ სურსათ სანოვაგის შეძენას, ძველი ვალების გასწორებაზე კი, ლაპარაკი ზედმეტია.

ვინ ასრულებს სატარიფო პალატის დადგენილებას?

სატარიფო პალატა არსებობს შრომის სამინისტროსთან და მისი თავმჯდომარეც დანიშნულია სამინისტროს მიერ. აქედან სჩანს, რომ ის არ შეიძლება ჩაითვალოს კერძო ორგანიზაციათ, არამედ სახელმწიფოს ერთ ერთ ორგანოთ, რომელიც აწესებს სამუშაო ხელფასის რაოდენობას, როგორც კერძო ისე სახელმწიფო წარმოების მუშა-მოსამსახურეთათვის. მისი დადგენილება სავალდებულოა ორივესათვის. სახელმწიფომ თვითონ უნდა მისცეს კერძო მწარმოებლებს მაგალითი სატარიფო პალატის დადგენილების ცხოვრებაში გატარების. მაგრამ რას ვხედავთ? სამხედრო სამინისტროს სამწეო განყოფილება, სამხედრო გოსპიტალი, სამხედრო სასწავლებელი, საავიაციო გუნდი, სახელმწიფო ბანკი და სხვა; აი ის ნაწილი სახელმწიფო დაწესებულებებისა, სადაც სატარიფო პალატის დადგენილების გატარებას აუარებელი დაბრკოლებები ელობება წინ, რაც ხშირათ კურიოზულ შემთხვევამდე მიდის ხოლმე, როგორც მაგალითად ელექტრონის სადგურის მექანიკის, თერძათ (სამხედრო გოსპიტალში) ან დარაჯათ (სახელმწიფო ბანკში) მონათვლა, რომ ამით მათ მისცენ სატარიფო პალატის მიერ გამომუშავებულ ჯამაგირზე ნაკლები.

აი ამისთანა მაგალითს აძლევს სახელმწიფო კერძო მწარმოებლებს და რასაკვირველია ეს უკანასკნელები სატარიფო პალატის დადგენილების არ შესრულებაში არ ჩამორჩებიან პირველს. ამაზე მიპასუხებენ, რომ არსებობს იძულებითი ზომე ი კერძო მწარმოებლების წინააღმდეგ. რაში მდგომარეობს ეს ზომები და რა პროცედურა არის საჭირო ამისათვის? მუშა ან მოსამსახურე სატარიფო პალატის დადგენილების დარღვევის შესახებ აცხადებს თავის კავშირის გამგეობაში, რომელიც მწარმოებელთან რამოდენიმე უნაყოფო მისვლა მოსვლის შემდეგ, უგზავნის განცხადებას შრომის კომისარს. ეს უკანასკნელი იწვევს მწარმოებელს თავის კომერაში, ადგენს ოქმს თანახმად 1917 წ. 2 დეკემწესებისა და აგზავნის მომრიგებელ კომერაში დასამტკიცებლათ, რის შემდეგ კომერა ოქმს უგზავნის შრომის სამინისტროს! სამინისტროდან ოქმი ეგზავნება მილიციის უფროსს, იქიდან უბნის კომისარს, კომისარი კი უფროს მილიციონერს, ეს უკანასკნელი კი უმეტეს შემთხვევაში იმის მაგივრათ, რომ ოქმში ნაჩვენებ პირს ფული გადაახდევინოს, ხდება მის მიკრიკათ და შრომის სამინისტროში ფულის მაგივრათ მიაქვს გადამხდელის განცხადება ოქმის უკანონობის შედგენის შესახებ. აი რა პროცედურა არის საჭირო რომ მუშამ თავის სამუშაო ქირა აიღოს.

თუ ზემოხსენებულ ოქმის თითეულ დაწესებულებაში გაჩერების მინიმუმად ავიღებთ 4 დღეს, გამოდის ერთ თვეზე მეტი. ამრიგათ მუშა, იმ ფულს რომელიც მას ერგება დღეს, იღებს ორი ან სამი თვის შემდეგ, რომლის განმავლობაში არარაობათ იქცევა ხოლმე მისაღები ფული, რადგანაც ამ უკანასკნელის ფასი საათობით ეცემა. ხდება თუ არა ჯარიმა მწარმოებელს ფულის მიცემის დაგვიანებისათვის? არც ერთი კაპიკი. პირიქით, შეუძლია სულ არ მისცეს, რასაც თვით შრომის სამინისტროს ცირკულიარი აძლევს ნებას, რომელშიაც ნათქვამია რომ თუ სატარიფო პალატის დადგენილების დარღვევის შესახებ იქნა დაქირავებულისგან განცხადებული ორი თვის შემდეგ დღიდან სატარიფო პალატის დადგენილებისა, იმ შემთხვევაში გამცხადებელს მიეცემა მხოლოდ პალატის მიერ დამტკიცებული ჯამაგირი დღიდან განცხადებისა, წარსული დროის განსხვავება კი მას არა აქვს ნება მიიღოს. მეორე მხრივ კი იმ მუშის წინააღმდეგ, რომელიც სატარიფო პალატის დადგენილებას დაარღვევს და მეტ ჯამაგირს მიიღებს, სასტიკ ზომებს ღებულობენ, მას უსპობენ მუშათა მაგიდიდან პურის და იაფი სურსათის მიღების უფლებას.

აქიდან ნათლად სჩანს თუ ვისთვის და რისთვის არსებობს სატარიფო პალატა და ვის ინტერესებს იცავენ იქ მყოფი მუშათა „წარმომადგენლები“.

**კატილინა.**

# მუშათა ცხოვრება

## ჩვენში

### სიღნაღის მუშები.

სიღნაღის ბაღში რომ გაივლით, ნახავთ, რომ დიდი ასოებით აწერია; პროფესიონალური კავშირის ბიურო, და მასთან ერთად არსებობს გამგეობა კავშირის მხოლოდ ფიქტიურად, მუშებს კი ამ კავშირთან, არავითარი კავშირი არ აქვთ. ყოველ მუშის საკითხს, ერობის და ქალაქის გამგეობა ისე სჭრის, როგორც მათ ბელადს კრაწაშვილს მოეპრიანება. მათთვის არ არსებობს ის ინსტრუქცია, რომელიც იმათ ძმამ მინისტრმა ერაძემ დიდი თავის ტეხვის შემდეგ გამოუგზავნა მუშებს. ვიცით ამას იმიტომ შვრებიან სიღნაღის ლიდერები, რომ „უფთხილდებიან“ ხალხის ხაზინას, ესე იგი, სიმდიდრეს.

ხშირია ასეთი მაგალითი სიღნაღის სამაზრო ერობაში თუ ქალაქის თვითმართველობაში, მუშები ყავთ აყვანილი, სამი ოთხი თვე ამუშავებენ, ლონეს გამოქაჩავენ და ბოლოს ქუჩაში გაისტუმრებენ ულიკვიდაციოთ. რაც შეეხება ულუფას, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

თვის თავათ პროფესიონალური კავშირის გამგეობა ვერაფერს აკეთებს; ეს აიხსნება ან პირდაპირ მათი გამოუცდელობით ან და ხელის შეშლით მენშევიკთა ლიდერების მეოხებით. ტყუილათ კი არ ამბობს მეხშევიკების გამოფხიზლებული მუშა „ახალ სხივში“ „მუშებმა სისხლი ცალვარეს და რამდენიმეს სასარგებლოთ მოაწყვეს თბილი ოჯახებიო“.

კიდევ კარგია, რომ გამოფხიზლდენ მენშევიკების მონები და თავიანთ მუშების ინტერესების დასაცავათ ამბობენ იმ დიდ ბორატების პაწია ნაწყვეტს მაინც, რაც მართლა ხდება მათ ბელადების მიერ დღეს ცხოვრებაში.

განა ეს ბუმერაზი მთელი სიღნაღის მაზრის მეფე კრაწაშვილი უბრალო არყის ჩამომსხმელი არ იყო სარაჯევის ქარხანაში და შემდეგ სიღნაღში ვლაზეიკთან რვეულების გამყიდველი? რომ შეადარო იგი ახლა ჩვენს ძმა-მუშას, რა აქვს საერთო მუშასთან? იგი უზრუნველყოფილია ყოველი მხრივ ამ ბედკრულ ცხოვრებაში, ჩვენ მუშებს კი ლუკმა გვენატრება და ამისთანა ბატონების მეოხებით გათელილია აქაურ მუშების ინტერესიც და სახეც.

მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ იმ მწვავე ცხოვრებას, რაც აქაურ მუშებს გვაწევს ზურგზე. განიცდიან აგრეთვე ქალაქის ამხანაგებიც.

მაგრამ დღემდის ხმას ვერ იღებდნენ მუშები, რადგანაც მეტეხის ციხე ამოვსებული იყო საუკეთესო თავდადებულ პროფესან. ხელმძღვანელ მუშებით. დღეს კი დრო არის ავიმაღლოთ სიმართლის მუშური ხმა იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რაც ხდება, ჩვენი მუშების სახელ გასატეხათ და დასამცირებლად ერთ მუჭა ბობოლების მიერ.

**მუშა.**

## საზღვარ-გარეთ

### ჩეხო-სლოვაკელები და რუმინელები პროფკავშირების საერთაშორისო საბჭოში

15 ოქტომბერს რუმინიის და ჩეხო-სლოვაკიის პროფ. კავშირების დელეგაციის ჩამოსვლისას,მოხდა პირველი სხდომა პროკავშირების საერთაშორისო საბჭოს აღმასრულებელ ბიუროსი დელეგატების თანდასწრებით. სხდომის მიზანი იყო გაეცნო დელეგატების სულისკვეთება და გაეცვალ-გამოეცვალა აზრი. ამხ. ტომსკის შეკითხვაზე, თუ რომელ ორგანიზაციასთან მოვიდენ ისინი, დელეგატებმა უპასუხეს, რომ მათი მიზანია გაიცნონ პროფ. მოძრაობა რუსეთში, საბჭოთა აღმშენებლობა, და ეკონომიური მდგომარეობა. ამ გვარად ისინი მოვიდენ კომიტეტთან პროფკავშირების საერთაშორისო საბჭოსთან და რუსეთის კავშირებთან.

ამხ. ტომსკიმ ილაპარაკა ს. რ. პ. კ. ა. კ. და პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო საბჭოს სახელით, გახსნა სხდომა და გამოთქვა სურვილი, რომ ამხანაგები, ჩეხო-სლავაკელები და რუმინელები არ დაკმაყოფილდებიან მარტო ინფორმაციის შეკრებით. უნდა გამოიჩინოთ მეტი სიმტკიცე, ვიდრე ბერლინის პროფკავშირების წარმომადგენლებმა გამოიჩინეს. უკანასკნელები ჩამოვიდენ მოსკოვში, გაიცნეს აქაური პირობები, გაიცნეს პროფესიონალური მოძრაობა და მუშების პირობები, სიტყვებით ისინი ბევრს გვპირდებოდენ, როგორც რუსეთის მუშათა კლასის სოლიდარობას, ისე პროფკავშირების საერთაშორისო საბჭოს პრინციპების მიღებას. საქმეზე კი, იმათმა ისიც კი უარყვეს, რომ გერმანიის მუშებში გაევრცელებიათ პროფ. კავშირების საერთაშორისო საბჭოს გამოცემული ლიტერატურა. თქვენგან კი ამას ჩვენ არ მოველით.

რუმინიის დელეგაციის წარმომადგენელმა უპასუხა: „ჩვენ იჭვი არ გვეპარება იმაში, რომ, ის მუშათა მოძრაობა, რომელიც დღეს რუმინიაში გაფართოვდება და გაღრმავდება. ჩვენ, გამომგზავრების წინ, ჩვენ მოვიწვიეთ პარტიული და პროფესსიონალური ორგანიზაციების ყრილობა. ჩვენ შეგნებულათ გადავდევით ორივე ყრილობა, რათა მიგვეცა საშვალება რუსეთში ჩასვლისა იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დელეგაციაში იქნენ არჩეული. და აქ უნდა გამოგვერკვია ჩვენ პრაქტიკული საშვალება კომუნისტურ ინტერნაციონალში და პროფკავშირების საერთაშორისო საბჭოში შესვლისა. ჩვენ გვწამს, რომ ორივე ყრილობები კარგ შედეგებს მიაღწევს, ვინაიდან ჩვენ მაშინ გვექნება თქვენგან დირექტივები მიღებული. ყრილობები მხოლოდ რატიფიკაციას უზამს ჩვენს შესვლას კომინტერში. თუ როგორია რუმინიის სოც. დემოკრატიის და პროფკავშირების პოზიცია ეს შეგვიძლია ერთი ფაქტიდან დავასკვნათ. ჩვენ უარი ვთქვით მიგვეღო მონაწილეობა შრომის ბიუროს კონფერენციაზე, რომელსაც იწვევდა ხალხთა ლიგა ვაშინგტონში. რუმინიის პროფკავშირებმა აგრეთვე უარი თქვეს ამსტერდამის შრომის კონფერენციაში შესვლაზე. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა ეკონომიურ სიბეჩავეს განიცდის საბჭოთა რუსეთი და ამისათვის ვიჩქარით დავეხმაროთ ჩვენს რუსს ძმებს“.

ჩეხო-სლოვაკიის დელეგატებმა განუცხადეს, რომ ისინი დარჩებიან რუსეთში დიდ ხანს, რათა შეისწავლონ დაწვრილებით რუსეთის პირობები და ცხოვრება.

ტრანსილვანიის დელეგატი, იმ ადგილის წარმომადგენელი, რომელიც დაკავებული აქვთ რუმინიელებს, ლაპარაკობს. „რომ ტრანსილვანია სრულიად მოწყვეტილია რუსეთს. იქ არ მიდიოდა არც ერთი გაზეთი და არავითარი ცნობა. ამისთვის ჩვენ დიდი დრო დაგვჭირდება რუსეთის ცხოვრების შესასწავლად.“

ამხ. ტომსკი უკანაკნელ სიტყვაში დაპირდა ს. რ. ფ. კ. ა. კ. და პროფკავშირების საერთაშორისო საბჭოს სახელით ყოველმხრივი დახმარება დელეგატებს, მათზე დავალებულ ამოცანების შესასრულებლათ.

# პარტიული ცხოვრება

## ერკეთი (გურია)

21 ნოემბერს შესდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის ერკეთის რაიონული კომიტეტის კრება.

წარმომადგენლები გამოცხადდენ ყველა სოფლებიდან. დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები:

1) მოხსენება მომენტზე.
2) მოხსენება ადგილებიდან.
3) ორგანიზაციების აღდგენა.
4) არჩევნები.
5) ანგარიშები.

პირველათ მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ბ. მან გააკეთა ფართო და შინაარსიანი მოხსენება. კრება სრული კმაყოფილი ხდება ამხ. მოხსენებით.

იაჩეიკების წარმომადგენლების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მისსის უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა და კრება გამოსთქვამს სრულ იმედს იაჩეიკების აღსადგენათ, იმ რაიონებშიაც კი, სადაც იაჩეიკები დღემდის დაშლილათ ითვლებიან.

შემდეგ კრება გადადის მორიგ საკითხზე და ირჩევს ხელმძღვანელ კოლექტივს თავისი პრეზიდიუმით, რომელიც შესდგება სამი კაცისაგან. მეხუთე კითხვაზე კრება ირჩევს ამხ. ა. და ავალებს რათა მათ ჩამოართვან ეს. და სხვებს ის ანგარიშები, რომლებიც ითვლება მათზე 1919 წლიდან.

**ვინმე.**

# პროვინციის ცხოვრება

## ერკეთი

(გურია).

### მენშევიკების საქმიანობა.

წინათ ეს თემი ითვლებოდა მოწინავე საზოგადოებით, თუ მთელ გურიაში არა, მის აღმოსავლეთ ნაწილში მაინც.

აქ ბლომათ იყვენ იდეიური მოწინავე ამხანაგები, ძველი მუშები, რომლების თავდაუდებელი, ენერგიული მუშაობით დაარსებულ იქმნა ერკეთში: ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, კოოპერატივი, და ბიბლიოთეკა-სამკითხველო. მაგრამ შემდეგ შეიცვალა დრო, ცხოვრების პირობები და ჩვენი საუკეთესო და ხალხისათვის სასარგებლო ამხანაგები მოსწყვიტეს ხალხს, შემოიღეს უსაშინელესი რეპრესიები და მოუსპეს ამხანაგებს საშუალება, ემუშავათ რაიმე კულტურულ დაწესებულებებში.

გაბატონდა ეგრეთ-წოდებული „სოციალ-დემოკრატია“, და არამც თუ გააკეთეს და დაარსეს რაიმე, არამედ ის, რაც აგებულ-დაარსებული იყო, ისიც დაინგრა მათი უკუღმართი პოლიტიკის მეოხებით. ავიღოთ მაგალითად სასწავლებელი. ფანჯრები, მაგიდები და სხვა დამტვრეულია. არავინ ყურადღებას არ აქცევს, და სიცივეები უკვე დაწყებულია, ბავშვები ყოველ დღე ცივდება, და ზამთარში თუ ასე დარჩა, მთლად სიცივით დაწყდებიან.

რაც შეეხება კოოპერატივს, უნდა ითქვას, რომ ის ძალიან კარგ ნიადაგზე იდგა მაშინ, როდესაც ძველი მუშები მუშაობდენ, მისი გაქრობა ყოვლად შეუძლებელი იყო, რასაც ამტკიცებს მისი ანგარიშები, და დღეს კი სრულიად გამქრალა. ერთი თვეა, რაც არ გაღებულა და განა გასაკვირია იქ კოოპერატივის გაქრობა, სადაც თვეობით იკეტება?

სამკითხველო თუმცა ღიაა მაგრამ გაზეთები ძალიან ძვირათ შეგხვდებათ, რადგანაც გამგეობას და ამხანაგებს მიაქვთ სახლში. ვიწერდით სამკითხველოსათვის „ახალ კომუნისტს“, მაგრამ სამკითხველოში არ აყენებდენ, უსპობენ მშრომელ ხალხს საშუალებას, გაიგონ, რა ხდება მათ გარშემო. მაგრამ ბატონებო, ასეთი ხრიკებით ვერაფერს გახდებით. ის ხალხი, რომლებსაც თქვენ რამოდენიმე წელიწადია ატყუებთ, ერთ დღეს, დარწმუნებული თქვენს მატყუარობაში, სამუდამოთ ჩამოგშორდებათ.

ქვეითათ მსვლელობა ყოვლათ შეუძლებელია: გზებში ღელეებმა გადმოხეთქა, და არავინ ყურადღებას არ აქცევს.

**ბაღაძე.**

## ხაშური

არ შეიძლება ოდნავი ყურადღების ღირსი არ გავხადოთ ადგილობრივი მენშევიკების აღვირახსნილობა. პარასკევს, 19 ნოემბერს, მენშევიკ ბიბილოვს და კომუნისტს ფილაშვილს მოუვიდათ კამათი.

კამათში ჩაერიენ სხვებიც, როგორც მენშევიკების მხრივ, ისე ბოლშევიკებისაც.

კამათმა იმდენათ მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ნერვებ აშლილმა მენშევიკმა ბ-მა ბიბილოვმა, ორჯელ სილა გაარტყა ამხ. ფილაშვილს და მასთანვე რევოლვერით გაიწია მოსაკლავათ, მიუხედავათ იმისა, რომ ამხანაგს შეეძლო გასწორებოდა და რევოლვერი მაზედ მოეხმარებინა, ეს მან არ ჩაიდინა, რადგანაც გათვალისწინებული ქონდა შედეგი: რომ მას ხელი შეებრუნებინა ბ-ნ ბიბილოვისათვის, მენშევიკებს მეტი არ უნდოდათ, ვინაიდან შეიძლებოდა, რომ ამხ. ფილიშვილი და იქ მყოფი სხვა ამხანაგები დაეჭირათ, ადვილათ შესაძლებელია ბიუროც დაეკეტათ, რაც ადგილობრივ მენშევიკებს ვერაფერი გზით ვერ მოუხერხებიათ.

ბ-ნი ბიბილოვს, რომელიც „იდეური ბრძოლის“ მომხრეთ თვლის თავის თავს, შეუძლია კიდევ, ასეთი პოლიციური მოქმედების შემდეგ ილაპარაკოს ამის შესახებ?

**ხაშურელი სპარტაკელი.**

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.

# განცხადებანი.


გამომცემლობა

## „წითელი ვარსკვლავი“

გამოსულია.

1. ვინ არიან კომუნისტები (ბოლშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
8. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.
7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.
8. ბუხარინ ი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუცია.
9. ნ. გექტორი. რით აიხსნება რუსეთის სოციალისტ. რევოლიუციის ადვილად გამარჯვება.
10. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნ. ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.

**იბეჭდება:**

11. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.
12. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
13. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
14. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.


სტამბა „ჯდ„წითელი დროშისა“ ქ. № 3.